ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
ხუთშაბათი
6
სექტემბერი
№107 (10344)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## დადგენილებიდან

### საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებისათვის შემდეგი ოლქები:

**ქალაქი ზუგდიდი**

**№ 61 რუსთაველის საარჩევნო ოლქი**

საზღვრები: ქალაქი ზუგდიდი.

**ზუგდიდის რაიონი**

**№ 62 კახათის საარჩევნო ოლქი**

საზღვრები: სასოფლო საბჭოები: ანაკლიის, ახალაბასთუმნის, ახალკახათის, განარჯიის მუხურის, დარჩელის, დიდინეძის, ერგეტის, ინგირის, კახათის, კოკის, ოდიშის, ორულუს, ორსანტიის, ოქტომბრის, შამგონის.

**№ 63 რუხის საარჩევნო ოლქი**

საზღვრები: სასოფლო საბჭოები: აბასთუმნის, ახალსოფლის, გრიგოლიშის, კორცხელის, ნარაზენის, რიყის, რუხის, ჩხორიის, ჭაქვინჯის, ჭითაწყარის, ჭკადუაშის, ყულიშკარის, ცაიშის, ჯიხაშკარის.

ჩაი—90

## წლიური გეგმა შეასრულეს

ჭითაწყარის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე ო. ცაავა, მთავარი აგრონომი ლ. ქვარაცხელია) მეჩაიე მშრომელებმა 1 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 1440 ტონის ნაცვლად მრეწველობას მიეყიდა 1490 ტონა ნედლეული.

მონდომებით იმუშავეს არენდატორების რ. დარასელიას, თ. კალანდიას, მ. დოლბანძის, რ. ჯიქიას, მ. დარასელიას ბრიგადის წევრებმა. კომპლექსური მექანიზაციის რგოლებმა (ხელმძღვანელები ქ. მაჭავარია, ა. აკობია).

დამატებით მოიკრიფება 150 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

## ორმხრივი შეთანხმებით

რწმენით ეკიდებიან არენდულ შრომას ახალაბასთუმანში. გარკვეული აქვთ მიზანი და შედეგი.

მეარენდეებმა ნაზო ქობალიამ და პოლიკარპე ქადარიამ გაიპიროვნეს ათი სული ფური. ყოველგვარი პრობლემების მოგვარებით შარშან გადამეტებით შეასრულეს რძის წარმოებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმები.

წელს მეარენდე მეცხოველეებმა 15 ტონიდან აწარმოეს 10 ტონა რძე, სახელმწიფოს ჩააბარდა 10 ტონა რძე.

ბ. ქარაია.

# მართალი, თავისუფალი სიტყვის ძალა

გაზეთი არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის, ან ორგანიზაციის სამეურვეო ზონა. მან თავისი გვერდები უნდა შესთავაზოს ყოველ მათგანს, რათა სრულად აისახოს საზოგადოებრივი შეხედულებების, პოზიციების, მსოფლმხედველობის ნაირნაირი სპექტრი. გაზეთში მასალის დაბეჭდვის უფლება და შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ პიროვნებას, პირთა ჯგუფს, კოლექტივს, ვისაც ძალუძს კონსტრუქციული აზრის მოტანა, მკითხველთა საოცრად გამძაფრებული სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. არაფერი საგანგაშო და მიუღებელი ამაში არ არის. პოზიციათა ამდაგვარ პალიტრას თვით ცხოვრება, მისი მრავალსახე რეალიები გვკარნახობს. ჟურნალისტი ის კაცია, ვისაც ცხოვრების მარადმფეთქავ მაჯაზე ხელი უდევს და მის პულსაციას აფიქსირებს.

ჩვენი გაზეთის სახე სრულებით არ გახლავთ ისეთი, როგორიც იმ რამდენიმე წლის წინ იყო. მოვლენათა განვითარების დინამიზმი, დოგმატურ ღირებულებათა გადაფასების შინაგანი ბუნებრივი დღენიადაგ გვკარნახობს შევიცვალოთ ჩვენც გაზეთის მუშაკები. იცვლება პრობლემათა ხედვის, გააზრების რაკურსი, შეფასების კრიტერიუმი. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დამკვიდრების მღელვარე და დამუხტული პროცესი ყოველი ჩვენგანის პროფესიული დონის, გემოვნების, კომპეტენტურობის, მამულიშვილური შემართების რადიკალურად ამაღლების საჭიროებას ბადებს, თუ არა ჩვენ, კალმოსნებმა, სხვამ ვინ უნდა იგრძნოს იმ შინაგანი, თანმიმდევრული, ხანდისხან სპონტანურად თავჩენილი ბიძგების ძალა, რაც ყოველდღიურ ყოფაში თავს გვახსენებს. და მხოლოდ მიმდინარე კოლიზიების დაფიქსირების ფუნქციით როდი ვიფარგლებით. ჩვენ გარკვეულწილად მკითხველთა აზროვნება-განწყობილებაზე კეთილმყოფელი ზემოქმედება, საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირება უნდა შევძლოთ. მაგრამ ყოველთვის როდი ვახერხებთ ამას. გარკვეულწილად ძველებური აზროვნების ინერცია, ყავლგასულ ფასეულობათა კომპლექსი გვახსენებს თავს. სწორედ ამიტომაა, რომ რედაქციის მიმართ სამართლიანი საყვედურებიც გაისმის.

ჩვენ დღენიადაგ ვცდილობთ ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იმ აგურს ჰგავდეს, რომლის დადებით მომავალი სამართლებრივი სახელმწიფოს მტკიცე შენობა აიგება. ბუნებრივია, ამ გზაზე იდეოლოგიური დოქტრინების უღლით, ძველებური დიქტატით სასიკეთო სულიერი კაპიტალის მოპოვებას ვეღარ მოვახერხებთ. დღეს მოვლენათა ნაირსახე მოზაიკას ერთი რაკურსით, ერთი სამზერი კუთხით ვეღარ შეხედავ და ვერც გაიცნობიერებ. წავიდა ის დრო, როცა ცხოვრებისეულ რეალიებს თავზე ახვევდნენ ილუზორულ დოგმებს, უსიცოცხლო დირექტივებს. დღეს, როცა ქართველი ხალხის ზნეობრივი აღორძინების და ერთიან, მონოლითურ ძალად შენივთების ძლევამოსილ პროცესში ვართ ჩაბმული, მოჩვენებითი, ფსევდოპრინციპებით თავის მოტყუების დრო აღარ არის.

მყვირალა, ფიქტიური სიტყვის, ფორმულის, ცნების ადგილი უნდა დაიკავოს თავისუფალი, რეალური სიტყვის ძალამ.

სხვანაირ გააზრებას საჭიროებს თვით სახელწოდების პრობლემა. პარტიული ცხოვრების განყოფილება, როგორც რაიული საგაზეთო საქმიანობის ტრადიციული სტრუქტურული რგოლი, გადასინჯვას მოითხოვს. ათწლეულების მანძილზე იგი გარკვეული იდეოლოგიური სქემების ტყვეობაში იყო და ფაქტიურად გვევლინებოდა მოვლენებზე წმინდა პარტიული, კლასობრივი პოზიციიდან სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტად. მადლობა ღმერთს, გარდაქმნის მიერ მოტანილმა სიომ თვით ზემდგომი პარტიული ორგანოებიც ღრმად ჩაახედა ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ახლებურად დარეგულირების საჭიროებაში. უკვე არავინ გვაწუხებს, მენტორული ტონით ნაკარნახევი დირექტივებით საქალაქო კომიტეტიდან. დიქტატისა და მეურვეობის ტონს კეთილმოსურნე, კოლეგიალური და მოკიდებულება ცვლის. ისტორიას ბარდება ყბადაღებული კლიშე — რუბრიკა: „სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა", „პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლა" და სხვა მისთანანი. ამას ცვლის დროის მაჯისცემასთან უნისონში მჟღერი ცნება: საზოგადოების პოლიტიზაცია. და იგი აბსოლუტურად გამორიცხავს სხვადასხვა დონის სტრუქტურების იდეოლოგიზირების პრაქტიკას და ამკვიდრებს ახალ ტენდენციას: თანაბარ პარიტეტულ პრინციპზე აიგოს საკითხების განხილვისა და ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების პოლიტიკა. არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არა აქვს ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის უფლება. სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს ნებისმიერ პოზიციას გამოხატოს თავისი თავი, ეკამათოს ოპონენტს, ანგარიში გაუწიოს განსხვავებულ აზრს, ალტერნატივას. პოზიციების ურთიერთშეჯერებით, პოლარულ მოსაზრებათა სინთეზირების გზით უნდა მივდიოდეთ თანხმობისაკენ. და ამდაგვარი დავა-კამათი, აზრების რომ იტყვიან შუბლით დაჯახება აგვაცდენს თავიდან პრობლემის ერთადერთი სწორი გადაწყვეტისაგან გაუცხოებას. რეალურია, ცხოვრებისეულია განწყობილებათა, ნაირგვარ სააზროვნო სიტუაციათა ფართო სპექტრის წარმომჩენი ასეთი დიალოგები. მუდამ მხარი უნდა დავუჭიროთ კონსტრუქციულ განსჯას და არა ექსტრემისტულ, პროვოკაციულ გამოხდომებს. საქმე მაშინ წაგვივა წინ, როცა კონფრონტაციის, განხეთქილებისა და ურთიერთშუღლის ბაცილის მთესველებს წინ აღუდგებით, არსებობის საშუალებას მოვუსპობთ.

ზემოთქმულის რეალური ხორცშესხმის გზაზე მართებულ ნაბიჯად მიგვაჩნია ჩვენი გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილების გადაკეთება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის განყოფილებად. იგი ადგილს დაუთმობს ჩვენს სინამდვილეში მოქმედ ყველა პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი მსოფლმხედველობრივი პლატფორმა. ამ ტენდენციას უკვე ამკვიდრებენ ამ ბოლო დროს გაჩენილი რუბრიკები: „თვალსაზრისი", „პოლიტიკური პლურალიზმი", „ვითვისებთ დემოკრატიის გაკვეთილებს", „საზოგადოებრივი აზრის რეზონანსი", „პრობლემა: გააზრების საკუთარი რაკურსი" და ა. შ. გაზეთში სათანამშრომლოდ ვიწვევთ ყველას, ვინც სისხლხორცეულად დაინტერესებულია ბოლომდე მიიყვანოს ქვეყანაში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესი. ამისათვის კი ჩვენს გაზეთში ვამკვიდრებთ „ალტერნატიულ გვერდს", სადაც საშუალება მიეცემა ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს ამათუიმ პრობლემის მიმართ გამოთქვან თავისი აზრი.

გაზეთი კვლავაც ერთგული იქნება მყარად აღებული კურსისა: მივსდიოთ ზოგადდემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, ხოლო პრიმატის როლი მივაკუთვნოთ საერთო ადამიანურ ღირებულებებს. ვფიქრობთ, სხვადასხვა მსოფლმხედველობის შემაკავშირებელი საერთო მნიშვნელიც სწორედ ეს არის.

გაზეთ „ოდიშის" რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

## ზუგდიდის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთიანი მიმართვა

რეგიონში არსებული დემოკრატ პედაგოგთა კავშირის გამგეობის ინიციატივით გახსნილი ზუგდიდის ექსპერიმენტული სკოლა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არა მარტო მოცემული რეგიონისათვის, არამედ მთელი ქართველი ერისათვის. არ არის დასამალი, რომ ე. წ. საქართველოს სსრ-ში დღემდე არსებული განათლების სისტემის საშუალო სკოლები ვერ აძლევენ ბავშვს ჭეშმარიტ განათლებას. უფრო მეტიც, ისინი არა განათლების, არამედ ადამიანის სულის დამახინჯებას უფრო ემსახურებიან.

დღევანდელი „გარდაქმნა" ვერ წყვეტს არსებულ პრობლემას, რადგან განათლების არსებული სისტემა საჭიროებს არა რეფორმას, არამედ ძირფესვიანად შეცვლას.

ზუგდიდის ექსპერიმენტული სკოლა მოწოდებულია საფუძველი ჩაუყაროს თავისუფალი საქართველოს ახალი ტიპის სკოლას, სადაც გამორიცხული იქნება ნებისმიერი პარტიის ზეგავლენა და ჩამოყალიბდება მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ეროვნული სულისკვეთების პიროვნება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოს მთავრობისა და ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ვითხოვთ, მიეცეს ხსენებულ ექსპერიმენტულ სკოლას სრული ავტონომია და შეიქმნას ექსპერიმენტის ჩატარებისათვის სასურველი გარემო.

დემოგრაფიული საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება, ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი", ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ექიმთა ასოციაცია, მწვანეთა მოძრაობა, სახალხო ფრონტი, დემოკრატ პედაგოგთა კავშირი, მელსნის კავშირი— ეროვნული აღორძინება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—მე-4 დასი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია.

საკითხის დასმის მიზნით

## ველი თქვენს გამოხმაურებას

ზუგდიდი თანდათან იზრდება. კულტურის კერები კი კლებულობს. დიდი მონდომების შედეგად სადგურის უბანში აშენდა კინოთეატრი. ერთხანს იგი ფუნქციონირებდა. შემდეგ სიცოცხლე თანდათან გამოეცალა და... დაანგრიეს, გვერდით არსებულ სავაჭრო მაღაზიას ახალი სათავსო მიუშენეს (?!).

ზუგდიდში ნაგებობები მომრავლდა. ეს ნათელია, მაგრამ... არავის ახსოვს თეატრი, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ მხარეზე გაშენებული, (უფრო სწორად, იმ დროისათვის არსებული სპორტკომპლექსი გადაკეთდა „თეატრად") და მიუვალია მდინარის გამოღმა მცხოვრებლებისათვის. მითუმეტეს იმ მიმართულებით არც დღე და არც ღამის საათებში არ არის სატრანსპორტო მომსახურება.

ქალაქის ამ უბანს, (ლაპარაკია რკინიგზის სადგურის უბანზე), ესაჭიროება კულტურული გართობის კერა. დანგრეული კინოთეატრის შენობის ადგილას სასურველია აშენდეს თეატრი, ან სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

აღნიშნული საკითხების მოგვარება, ბუნებრივია, მოითხოვს გარკვეულ თანხას. სასურველია შეიქმნას საზოგადოება „ზუგდიდი" და შემოწირული თანხით კი ავაშენოთ კულტურის კერა.

ვითხოვ აზრთა გაზიარებას, გამოხმაურებას.

თამარ ღურწკაია,
საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

## იგულისხმეთ... მხოლოდ საქართველო!

იურა ფიფია ჩვენი თანამემამულეა, მაგრამ ოცი წელია თბილისში ცხოვრობს. იქვე დაამთავრა სამხატვრო აკადემიის სამრეწველო ხელოვნების ფაკულტეტი. ამჟამად თავისუფალ შემოქმედებით მუშაობას ეწევა.

ბავშვობიდანვე ხატავდა. ფიქრში და ძიებაში მრავალი საინტერესო სახე შექმნა. თითქოს ერთბაშად აღიქვამ მის ნამუშევრებს, მაგრამ არა... ის უფრო ღრმაა, უფრო დიდი და მრავალისმეტყველი ვიდრე ერთი შეხედვით გეჩვენება. მხატვარი სხვა თვალით უყურებს სამყაროს, ამდენად ვერც შენ ჩასწვდები სრულყოფილად მის ძირითად არსს თუ მხოლოდ ყოველდღიური, „გაცვეთილი" მზერით შეხედე.

—„სხვას ნურაფერს ეძებთ ჩემს ნამუშევრებში, მე სიმბოლისტი ვარ. იცოდეთ—ყველგან და ყველაფერში მხოლოდ საქართველო იგულისხმება". —მოკრძალებულად გაგვაფრთხილა მხატვარმა, როცა ამ დღეებში, ზუგდიდის სამხატვრო სალონში გახსნილი მისი ნამუშევრების გამოფენა დავათვალიერეთ.

იურა ფიფია ერთნაირად ძლიერია ფერწერაშიც და გრაფიკაშიც. აშკარაა მაღალი პროფესიონალიზმი, დახვეწილი გემოვნება, მდიდარი ფანტაზია. დამთვალიერებელთა სიმპათიები დაიმსახურეს ნამუშევრებმა: „ავტორისეული ლეგენდა წითელ ცხენებზე", „ტორსი", „ვაზა", „ფრესკა", „ნატურმორტები", „მშვენიერი ვედრება" „სიცოცხლის ტრადიცია", „დოგმა", „სალოცავი მთაში", „ზარი", „საკუთარი ჯვრის ტრევა", განსაკუთრებული მოწონება ხვდა ნამუშევარს „სული გაფრინდა მტრედივით ცაში, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე". შედევრი უწოდეს მას დამთვალიერებლებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოფენა მხატვარ იურა ფიფიას დებიუტია. ალბათ, ესეც სიმბოლურია: პირველად მშობლიურ ქალაქში, მშობელ ხალხს აჩვენო შენი ნაღვაწი, ნაღოლიავები. პირველი შემფასებლის უფლებაც მას დართო და გზის დალოცვაც მას სთხოვა.

ეჭვი არ არის, ზუგდიდელები, ხელოვნების ძნელად სავალ გზაზე სიალალითა და გულწრფელობით დალოცავენ ნიჭიერ შემოქმედს.

ნ. მიქავა.



ჩხორიის კოლმეურნეობის № 7 არენდული ბრიგადის (ხელმძღვანელი ბესიკ სოსელია) წევრებმა გადამეტებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

აბარებენ ზეგეგმიურ ტონებს.

სურათზე: მარჯვნიდან—ბრიგადირ-აგრონომი ბესიკ სოსელია, მოწინავეებთან ელისო სოსელიასთან, ნანული და მაყვალა შონიებთან.

ბ. ყუფუნიას ფოტო.

ორიენტირი: ვეზიაროთ თავისუფალი აზროვნების კულტურას

## ვისწავლოთ დაშვებულ შეცდომებზე

როდესაც საუბრობ დღევანდელ დღეზე, დროის მიერ მოტანილ სოციალურ კატაკლიზმებზე, ძალაუნებურად გონების თვალი გინდა მოავლო წარსულს, ღრმად გაიცნობიერო მტკივნეული პერიოდები, რომლებმაც თაობათა სულიერი ორიენტირები, შეხედულებათა სისტემა ჩამოაყალიბა. მუნჯმა კინემატოგრაფმა საოცარი ექსპრესიულობით დააფიქსირა ფირზე 20-იანი წლების ახალგაზრდა თაობის აღტაცებული შემართება. ამ კადრებზე ნახავ გამხდარ, ლოყებჩაცვენილ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც აშენებენ გზებს, ხიდებს, გაჰყავთ არხები. ნახავ ხეზე ჩამოკიდებულ ფანრებს და მის შუქზე ღამით ყანაში მოფუსფუსე ადამიანებს. ამის დამნახავს აბეზარი კითხვა იგედევნება: რა ძალა აიძულებდა სიღატაკის ზღვარამდე მისულ მშიერ-ტიტველ ხალხს ფიზიკური ენერგიის მაქსიმუმი მიეტანა ახალი დროების სამსხვერპლოზე? დღევანდელი სიმაღლიდან, როცა წარსულის დეფორმაციების გამოწვლილვითი ანალიზი და ფსევდოფასეულობათა გადასინჯვა ხდება, შეუძლებელი როდია მსჯავრის გამოტანა. მასების სიცოცხლე ზვარაკად აქცია თვით სოციალიზმის იდეამ, ამ ქვეყნიურ უსამართლობათა და მანკიერებათა კლასობრივი ანტაგონიზმის დროშით დაძლევის ფსიქოზმა. ყველას, მოეხსენება, ეს ხელისუფლება შემდგომ წლებში იდენტური გახდება სტალინის მიერ დამყარებული ტოტალიტარული რეჟიმისა, სადაც დომინანტობდა თვით მისი დიდმპყრობელური, სატანური ნება. ფართო მასებს ტოტალიტარული მართვის პრინციპზე დაფუძნებულმა მთავრობამ შესთავაზა სოციალური სამართლიანობის, საყოველთაო ჰარმონიის უტოპიური თეორია, ხოლო იმავდროულად მისი გააზრება გაცნობიერებას ყოველნაირი არხი და საშუალება გადაუკეტა. ფაქტიურად მოხდა სოციალიზმის თავისთავად არცთუ ისე მიუღებელი იდეის — სოციალური სამართლიანობის პრინციპების გაყალბება და მისი დროშის ქვეშ მთელი საბჭოური იდეოლოგიის ფეტიშად კვაზირელიგიად გადაქცევა.

ნაცვლად იმისა, რომ პარტიას მთელი თავისი ძალისხმევა მიემართა სოციალური სამართლიანობის აღმდგენი მექანიზმების ამოქმედებაზე, ღარიბი ფენების ცნობიერება მთლიანად გამსჭვალა შინაგანი მტრის გამოგონილი ხატისადმი სიძულვილით. ფაქტიურად მოახდინა ყველა იმდროინდელი სოციალური, თუ ეკონომიკური კრიზისის ფსევდომიზეზების პროვოცირება. ეს ნიშნავდა გზის გაკაფვას მონოპარტიული, ერთმმართველობითი დიქტატურისაკენ, რომელმაც შემდეგ ასეთი სახის ანომალია. დოგმატურმა იდეოლოგიამ მოახერხა ისიც, რომ მასებში სიძულვილის გრძნობასთან ერთად ჩაესახა იმედის ილუზიაც. იმის რწმენა, რომ სოციალური გაჭირვებების თანდათან დაძლევის, ქვეყნის შინაგანი რესურსების მობილიზების გზით საბოლოოდ მივაღწევდით ჰარმონიული, სამართლებრივი, მდიდარი სახელმწიფოს შექმნას. ასე და ამგვარად ინაცვლებდა თაობების თვალწინ მკაცრი რეალობა თავისი ტრაგიზმით, აბსურდულობის განცდით, დღემდე ამოუხსნელი პარადოქსებით. სოციალური ოპტიმიზმის ჯანსაღ განცდას ცვლიდა მითი ჰარმონიულ საზოგადოებაზე, სად განსჯას და მოვლენის გაცნობიერების უნარს ბრმა რწმენა, უტოპიური წარმოდგენები, ფანატიკური თვითდაჯერებულობა.

სახელგანთქმული გენეტიკოსი დუბინინი ერთი იმათთაგანია, ვისაც არც დედის ალერსი ახსოვს და არც მამის. იგი ასე იგონებს სტუდენტობის წლებს: ძალიან ხშირად ვშიმშილობდით, გვაკლდა კალორიები, მაგრამ თავზე საყრელად გვქონდა იმის რწმენა, რომ ვაშენებდით კომუნიზმს—ყველაზე სამართლიან და ბედნიერ საზოგადოებას დედამიწის ზურგზე. ალბათ ასეთივე რწმენა ასრულებინებდა თავის ჩეკისტურ ფუნქციებს პატივცემულ გენერალს ალექსანდრე ინაურს, რომლის აღსარებითი ტონით აღბეჭდილმა, გულწრფელმა წერილმა ძარღვები შეუძრია მკითხველებს.

რას გვკარნახობს პარადოქსებით აღსავსე წარსული? ყოველ შემთხვევისთვის იმას არა, რომ ძველი თაობის წარმომადგენელთა მიმართ უპატივცემულობით განვიმსჭვალოთ. მათ საკმაოდ რთული, წინააღმდეგობრივი, ტრაგიკული ხვედრი ერგოთ. მიუხედავად ამისა, ალალად გაისარჯნენ, ბევრი რამ სასიკეთო შექმნეს, რაც მთავარია, სიძნელეთა გადალახვის ქინძი გენეტიკურად გვიანდერძეს, ამისათვის მადლიერი უნდა ვიყოთ მათი.

ახლა მთავარია, აწი მაინც არ შეგვეშალოს წინ სავალი ცხოვრებისეული ორიენტირები. ურიცხველი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი. დასაძლევია ის დაბრკოლებები, რაც გველობება საშინაო საქმეების უკეთ აწყობაში, მთელი ჩვენი ყოფის დემოკრატიულ სტრუქტურებზე გადაყვანაში. განვიმსჭვალოთ იმ რწმენით, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს ჩვენს წინსვლას ზნეობრივი და ეკონომიკური აღორძინებისაკენ. ჩვენ უცილოდ ავაშენებთ ახალ საქართველოს, თავისუფალ, დემოკრატიულ, სამართლებრივ საქართველოს, თუკი ერთად ვიქნებით, გრანიტის კლდედ ვიქცევით, გავმთლიანდებით.

ზ. ცხონდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ

# სინამდვილეს თვალს თუ გავუსწორებთ

**თოთხმეტი წლის წინათ განმუხურის კოლმეურნეობა გადაკეთდა მეხილეობის მეურნეობად. თხილის კულტურამ დაიკავა 473 ჰექტარი. ჩატარდა მილიონობით მანეთის სამელიორაციო სამუშაოები. მეცნიერული გაანგარიშებით ყოველ ექვს მეტრზე მოეწყო სფერული კვლები, მიუხედავად ამისა კვლავ დიდია პლანტაციებში ტენიანობა. ზორლათის არხის რეკონსტრუქციამ და სათანადო ტუმბოების დადგმამ ერთდაგვარად შეცვალა მდგომარეობა, მაგრამ კვლავ დაბალია მოსავლიანობა, პლანტაციების ტექნიკით დამუშავების დონე.**

**აღნიშნულ და სხვა საკითხებზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ მეურნეობის დირექტორს შ. ანჩაბაძეს და მთავარ ბუღალტერს მ. ხაზალიას.**

— სინამდვილეს თვალს თუ გავუსწორებთ, — ამბობს მეურნეობის დირექტორი, — დღეისათვის დაბალია მოსავლიანობა. პრობლემა უამრავი გვაქვს. მივმართეთ არენდული წესით პლანტაციების გაცემას. მას პირველ ხანებში მიმდევრები გამოუჩნდა, მაგრამ ზოგიერთი მაინც შიშობს ვაი თუ სიტყვა უსაქმოდ დარჩესო. ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნას დრო სჭირდება და ამასთან მაგალითიც.

შარშან მოძრავ-მექანიზებული კოლონა № 7-ს (უფროსი ბ. კუკავა) არენდული წესით გავეცით 16 ჰექტარი თხილის პლანტაცია. დაინტერესებულმა პირებმა კორექტივი შეიტანეს მუშაობაში. თავდაპირველად მათ სფერული კვლების რეკონსტრუქციით დაიწყეს, სფერული კვლების არე გააფართოვეს 30-40 მეტრამდე, საქცევებში ჩადეს წყალსაწრეტი მილები და საგრძნობლად შეიცვალა ხეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რაც გარანტიაა იმისა, რომ თითოეული ძირიდან მიიღონ მაღალი მოსავალი.

თხილის მოსავლის მოყვანის გეგმა 84-85 წლებში განისაზღვრა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მიხედვით, ისე, როგორც ჩადებული იყო პროექტში, მაგრამ ტენის სიჭარბემ და ნიადაგის სტრუქტურამ ვერ გაამართლა და მოსავალზე იქონია ზეგავლენა.

ბოლო სამ წელს ცვალებადია მოსავლიანობა. შარშანწინ მივიღეთ 42 ტონა თხილი, შარშან 25, წელს კი ნახევარის მიღებაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. მიზეზად ისევ თხილის შესასყიდი ფასების არასწორ დაგეგმვას მივიჩნევთ.

—მუშის მიერ წარმოებული კილოგრამი თხილის შესასყიდი ფასი 1 მანეთია, როდესაც, მისი კონკურენტი ბაზარი მას 6-7 მანეთად ყიდის — ამბობს მთავარი ბუღალტერი მურმან ხაზალია, — ამან კი წარმოშვა სიძნელეები. მუშას დაეკარგა მოსავლის აღების ინტერესი. არადა მისი აღების შემჭიდროებული ვადა ერთი კვირა ან ათი დღეა. ხალხს თავის ნაშრომში ხელშესახებ ანაზღაურებას თუ გავცემთ და იქნება ჯანსაღი კონკურენცია, მოგებული დარჩება ორივე მხარე. წინ წაწევს ეკონომიკას, მიმართავს გაფართოებულ კვლავწარმოებას და მიიღებს უკუგებასაც. გაუმჯობესდება მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები და საგრძნობი ცვლილებები დაეტყობა სოფელსაც.

და ბოლოს კიდევ ერთი: თხილის პლანტაციების 20-30 წლის ვადით არენდული წესით გაცემაზე პირველ ხანებში დათანხმდნენ მუშები, მაგრამ სიძნელე, რამაც თავი იჩინა თხილის პლანტაციების მექანიზირებულ დამუშავების საქმეში გახლდათ ის, რომ მოსახლეობამ დაიწყო პლანტაციების ნაწილ-ნაწილ შემოღობვა, გამოირიცხა მისი ტექნიკით დამუშავება. აღნიშნულმა და სხვა მრავალმა პრობლემებმა შესცვალა ადმინისტრაციასა და ხალხს შორის დამოკიდებულება. დღეს ხელშეკრულებები შეცვლილია „ვალდებულებებით", მაგრამ ვეჭვობთ, რომ ამანაც გამოიღოს სასურველი შედეგი. ერთია მთავარი, თუ კი აიწევს ფასები და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბერკეტს თუ მოვიშველიებთ, მეურნეობა გაამართლებს პროფილის მიხედვით არსებობას, მომგებიანი ხარჯებით, სექსპორტოდ თხილის გატანა, მოგვცემს ეკონომიკურ ეფექტს.

ჩვენი საუბარი გარდა თხილის კულტურისა შეეხო სხვა დარგებსაც. გაირკვა, რომ 8 ჰექტარზე გაშენებული დაფნის პლანტაცია ამორტიზირებულია და საჭიროებს ამოძირკვას, ამართლებს ჩაი, რომელსაც 19 ჰექტარი უჭირავს. იგი 70-80 ათას მანეთამდე მოგებას აძლევს მეურნეობას, ერთი მუშის საშუალო ანაზღაურება წლიურად აღწევს 1470 მანეთს. სოფლის კეთილმოწყობის მიზნით მოასფალტდა გზა შავი ზღვის სანაპირომდე, გაიჭრა სამი ჭაბურღილი და მოსახლეობას მიეცა სასმელი წყალი.

განმუხურის მშრომელი მოსახლეობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით ბევრს მოიგებს, მაგრამ სანუკვარი მიზნისაკენ მიგვაახლოვებს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, პროფილის შეცვლა კი არა, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება და საქმისადმი ეკონომიკური მიდგომა.

ესაუბრა ბ. აბულაძე.

აღზრდის თემაზე

# თავისუფალი პიროვნების პედაგოგიკისაკენ

**პრესაში ბევრი იწერება ბავშვთა და მოზარდთა მიერ სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის, მასწავლებელთა შრომისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების, პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.**

სად ვეძიოთ გამოსავალი, ან ხომ არაა სკოლის კრიზისის მიზეზი ავტორიტარული სახელმწიფო სისტემა? დასმულ კითხვებზე პასუხს ვიპოვით, თუ რეალურად გავაანალიზებთ განათლების ფილოსოფიას, რომელიც მკაცრად მოითხოვდა პედაგოგისაგან მხოლოდ და მხოლოდ განათლებას, ხოლო მოსწავლეებისაგან ცოდნის საფუძვლების ათვისებას და დაუფლებას. სწორედ, ასეთმა ფილოსოფიამ აშკარად წარმოშვა ავტორიტარული პედაგოგიკა, რომელიც ივიწყებს სკოლის მთავარ პირს — მოსწავლეს, მისი პიროვნების ფორმირებას, მოსწავლეთა ფანტაზიის, ემოციების, გრძნობების სისტემატურ სრულყოფა-განვითარებას. შედეგად ამისა, მოსწავლეებს რჩებათ მხოლოდ ცოდნის აჩრდილი და თვითშემეცნების ანარეკლი. დღევანდელი ბავშვი უფრო ცუდადაა ინფორმირებული და სუსტად რეაგირებს ცხოვრების მოვლენებზე, ვიდრე ჩვენი შორეული წინაპრები, რომლებსაც სამყაროს შეცნობაში ეხმარებოდა ლეგენდები, მითოლოგიური ან რელიგიური გადმოცემები და სხვა. სწორედ ისინი საშუალებას აძლევდა მათ სამყაროს ერთიანობის შეცნობაში და რაც მთავარია, ყოფიერების ფილოსოფიური საწყისების გააზრებაში. მხოლოდ ბავშვის პიროვნებისაკენ შემობრუნება, მისი ძალებისადმი რწმენა აძლევს პედაგოგიურ პროცესს უდიდეს შთამაგონებელ ძალას.

ტრადიციული პედაგოგიკიდან და სკოლიდან ამოვარდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „კურსდამთავრებულთა სახელმწიფო დაკვეთა", „აკეთე ისე, როგორც მე", „მოიქეცი ისე, როგორც გეუბნებიან" და სხვა.

ახალი, ჰუმანური პედაგოგიკის მიზანია, სკოლაში და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ცხოვრების ანალიზი, ბავშვებისადმი სისტემატური დახმარება სიძნელეთა დაძლევაში, მათთან თანამშრომლობით სრულყოფილი პიროვნების ფორმირება.

თავისუფალი პიროვნების პედაგოგიკის გარეშე, თანამედროვე სკოლისაგან ვერ დაველოდებით ახალი ადამიანის პიროვნული თვისებების აღზრდას, წარმატებას განათლების საქმეში, ამიტომ, ყოველი პედაგოგისა და სკოლის მთავარი ამოცანაა, დავეხმაროთ თითოეულ მოსწავლეს საკუთარი თავის შეცნობაში. ამაში დაგვეხმარება მშობლიური და რუსული ლიტერატურის მდიდარი მასალები.

ადამიანის თვითშეცნობისათვის გაწეული მუშაობის უდიდეს მნიშვნელობაზე ფ. დოსტოევსკი წერდა: „ადამიანი არის საიდუმლოება. იგი უნდა ამოვიცნოთ, და თუ მას ამოვიცნობთ ცხოვრებაში, მაშინ ნუ იტყვით, რომ დრო უქმად დავკარგეთ. მე დაკავებული ვარ ამ საიდუმლოებით, რადგან მინდა ვიყო ადამიანი".

საჭიროა, სისტემატურად ვიბრძოლოთ კეთილი საქმის ადამიანის აღზრდისათვის.

ა. ლურწაია,
პედაგოგი.

წიგნის თაროს შეემატა

# ნაშრომი ზუგდიდელ მელიორატორებზე

კოოპერატივ „სპეცმშენპროექტის" მიერ გამოცემულ იქნა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შედგენილი და გაფორმებული ბუკლეტი „ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო", მასში საინტერესოდ არის ასახული ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი, ინტენსიური შრომითი გზა, რაც ამ სახელოვანმა კოლექტივმა გამოიარა დაარსების მომენტიდან დღემდე სისტემის, წარჩინებული წარმომადგენლის მიხეილ ბაღიშვილის მეთაურობით.

ბუკლეტის პირველ თავში გადმოცემულია მცირე ისტორიული ექსკურსი კოლხეთის წარსულში. კერძოდ პირველი ცდები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის დაშრობა-ათვისებასა და მისი დიდი შესაძლებლობების გამოყენებასთან. წარმოჩენილია ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლაძის როლი ამ საშვილიშვილო საქმეში. აქვე მოთხრობილია იმ პირველ ღონისძიებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო ჭაობების დაშრობის და ზედმეტი ზედაპირული წყლების გარიდება-გაყვანის თვალსაზრისით.

მკითხველი ეცნობა იმ სამუშაოების მასშტაბებსა და სპეციფიკას, რაც დამახასიათებელია რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალექსპლოატაციის" მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოსათვის, რომელიც 1936 წელს ჩამოყალიბდა.

„ტერიტორიის ნიადაგური, კლიმატური და ოროგრაფიული თავისებურებანი, — ნათქვამია ბუკლეტში, — დიდი მასშტაბით დაშრობითი მელიორაციის ჩატარებასთან ერთად, განაპირობებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის აუცილებლობას. სამდინარო ქსელის განვითარების გამო ადგილი აქვს ხშირ წყალდიდობებს და მათგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სახალხო-სამეურნეო ობიექტების დასაცავად აუცილებელი ხდება დიდი მოცულობის წყალსმიერი ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება — მდინარეთა კალაპოტების რეგულირება, „მდინარეთა ნაპირების გამაგრება".

ბროშურაში გარკვეული ადგილი ეთმობა იმ ეკონომიკურ უკუგებას, რასაც აღნიშნულ პერიოდში მიაღწია კოლექტივმა განხორციელებული დიდძალი სამუშაოების შედეგად. ამის საილუსტრაციოდ ეს მცირეოდენი ფრაგმენტიც გამოდგება: „... ასე მაგალითად, 1986-88 წლებში დაბალრენტაბელურ მეურნეობებში დაზოგილი თანხებით დაშრობილია 300 ჰა და გასარწყავებულია 200 ჰექტარი მიწის ფართობები, რაც ათვისებულ იქნა იმავე წლებში". ნაშრომში გამოკვეთილია მელიორაციული სამუშაოების განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები. უახლოეს ათ წლიწადში დაგეგმილია მელიორირებული ფართობების გაზრდა 5 ათას ჰექტარამდე.

ინტერესით იკითხება ის აბზაცები, სადაც მადლიერების გრძნობით აღინიშნება კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობისა და მისი ხალხის სამსახურში ჩაყენების საქმეში თავგამოჩენილი ადამიანების: ა. ბირკაიას, გ. ძაგანიას, ვ. ზამბახიძის, ნ. დანელიას, ა. გაბუნიას, ი. ლაღიძის, გ. ქოგუღიას, ლ. კიკნაძის, ა. მოწერელიას, კ. გუბელაძის, ნ. მიმინოშვილის, ნ. ქირიას, კ. ცხადაიას, ლ. მელქაძის, ი. ფალავას, ნ. ფიფიას, ჯ. გრიგოლიას, ა. უბირიას ღვაწლი.

გულთბილი სიტყვები ეძღვნება იმ მექანიზატორებისა და მუშების კეთილსინდისიერ, თავდადებულ გარჯას, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება აღნიშნულ დარგს მოახმარეს, საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს კოლექტივის დიდებული ტრადიციები. ესენი არიან: ა. გერგედავა, დ. გულეავა, ა. ქვარაია, ლ. ეფსაია, მ. ბაგათელია, შ. გვახალია, დ. კუჭავა, ვ. სამუშია, ი. ყორშია, ნ. ცაცუა, ვ. ფანცულაია და სხვები.

# ცისკარი გაიხსნა

(ჩ ა ნ ა ხ ა ტ ი)

ცაზე სწრაფად მოძრავმა ფრთა-ღრუბლებმა მზის დისკოს პირბადე ჩამოაფარეს, მზე თითქოს გაიზარდა, გაივსო და გამოჩნდა მთელი თავისი სიდიადით. დასავლეთის ცას მეწამულისფერი გადაეკრა. ქარმა წამოიქროლა. შორს ჰორიზონტზე, ცისა და ზღვის შესაყარზე მზემ ჩაიმუხლა და ნელ-ნელა დააწვა ზღვას. ტალღებზე მზის სხივები აციაგდა. ზღვამ თითქოს მზე ჩაკბიჩა, ახლა მზე მრგვალი არ იყო. ზღვამ პირი დააღო, ღმუოდა, ქშინავდა და ნელ-ნელა ყლაპავდა მზეს. თითქოს ზღვამ ვერ ჩაიტია მზე და გიგანტურ ტალღებად მოაწყდა ნაპირებს. ზღვამ მზე ჩაყლაპა, ხოლო ცას მზის უკანასკნელი სხივების მჭახე წითელი ფერები შეატოვა, რომლებიც თანდათან გაიცრიცნენ, გაფერმკრთალდნენ და გაქრნენ.

ბინდი ჩამოწვა.

შორს ულრანში ჭოტმა იკივლა. ლელიანში ტახი აშლიგინდა, ხოლო შაშვებმა ასწლოვან სუროთხვეულ ხეებს მიაშურეს.

ანაკლიის ცაზე მთვარესავით დაეკიდა ფერადი რკალებით გარშემორტყმული დისკო; დისკო კი არა, რაღაც საოცრება, რომელიც ზეცაში მრგვალ ღერეფანს ჰქმნიდა.

არა, ეს მთვარე არ იყო...

— ცისკარი გაიხსნა, — თქვა კაცმა და პირჯვარი გადაიწერა.

გ. ჭაჭაცია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპორტი**

# შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში

ამას წინათ სოფელ რუხის იპოდრომზე ჩატარდა საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი მიძღვნილი სარაიონთაშორისო საცხენოსნო ასპარეზობა.

პროგრამაში იყო სხვადასხვა დისტანციის დოღები, ყაბახი, ისინდი, ხტომები. ასპარეზობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აბაშის, გალის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, წალენჯიხის ცხენოსანთა გუნდები.

1200 მეტრზე დოღში მონაწილეობდნენ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მოსწავლეები ბუდიონისა და არაბული ჯიშის ცხენებით.

დოღში 2000 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა ვარდენ ხურციამ, მეორე ადგილი — რომა საბატინმა (ორივე სენაკიდან), ხოლო მესამე ადგილზე გავიდა აბაშელი ენვერ ბანტურია.

1800 მეტრზე დოღში სუფთა სისხლის ცხენებით პირველი ადგილი მოიპოვა მრავალგზის ჩემპიონ ოთარ ჯაფარიძის შვილმა დათო ჯაფარიძემ, მეორე — რამინ ლაგვილავამ, მესამე — გენად გოგოხიამ (სამივე ზუგდიდიდან).

რთული კლასის ხტომებშიც პირველი იყო დათო ჯაფარიძე (ცხენი „ტეიროსი“). მეორე ადგილი კი გურამ როგავამ დაიკავა (ზუგდიდი).

1200 მეტრზე კი პირველი ადგილი დაისაკუთრა სპორტსკოლის მოსწავლემ ზვიად ბულიამ.

2000 მეტრზე დოღში ბუდიონისა და არაბული ჯიშის ცხენებით პირველ ადგილზეა რამინ ლაგვილავა, მეორეზე — ლევან ცანავა, მესამეზე — ლექსო თოდუა.

ხტომებში რთულ კლასში პირველი ადგილი მოიპოვა ცხენოსნობაში მრავალგზის ჩემპიონმა, მწვრთნელმა ოთარ ჯაფარიძემ, მეორეზეა — მამია შონია, (ორივე ზუგდიდი), ხოლო მესამეზე — წალენჯიხელი პაატა კვარაცხელია.

შეჯიბრებაზე მოწვეული იყვნენ რაიონის სოფლების მხედრები შამგონიდან, კახათიდან, კოკიდან, ადგილობრივი ჯიშის ცხენებით. ორი ათას მეტრზე დოღში პირველი ადგილი გაიყვეს გონელი დარასელიამ (შამგონა) და კახათელმა შუქრი გაბესკირიამ, მეორე ადგილზე გავიდა მანუჩარ ახალაია, მესამეზე — ვალერი მოსია (შამგონა).

ადგილობრივი ჯიშის ცხენებით 4000 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა ალექსანდრე სინიცკიმ (სენაკი), მეორე — ენვერ ბანტურიამ (აბაშა), მესამე — სენაკელმა ხურცილავამ. ისინდში პირველი ადგილი მოიპოვა კოკის ცხენოსანთა გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ კახათელი ცხენოსნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები, ასევე მეურნეობები დიდ დახმარებას უწევენ სამეურნეობათშორისო საცხენოსნო სპორტულ კომპლექსს ცხენოსნობის აღორძინებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გასო ფარცვანიასა და ამავე კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტის გურამ როგავას წვლილი, რომელთაც შეიძინეს რამდენიმე სუფთა სისხლის ცხენი, ზრუნავენ მათი გამოკვებისათვის. გვეხმარება აგრეთვე ჭკადუაშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე კობა ანთია. მათმა კუთვნილმა ცხენმა „მაგნიტოგორსკიმ“ ორკილომეტრიან დოღში პირველი ადგილი დაიკავა.

უნდა ითქვას ისიც, რომ მოწვეული იყვნენ და შეჯიბრებას თა... [illegible] ...ე აარილეს გან... [illegible] ...ის, ორიულის, დიდიხევის სახელოთა მეურნეობებმა.

გათვალისწინებულია შეჯიბრებების რეგულარულად ჩატარება, ხოლო ამა წლის ოქტომბრიდან მუშავდება საგოქალაქო პროგრამა — რომლის თანახმადაც ჩატარდება საქართველოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ზუგდიდის, აფხაზეთის რაიონების გუნდები.

ჩატარებული საცხენოსნო ასპარეზობისას გათამაშდა ლატარიის ბილეთები შემდეგი ნივთმოგებით — ფერადი ტელევიზორი, მაჯის და კედლის საათები, მაგნიტოფონი.

გამარჯვებულ ცხენოსნებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

**ა. ბულია,**

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე.

---

## [illegible]

საქართველოს სსრ განათლების და მეცნიერების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების ქ. ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა კლუბის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ წრეებში: საქართველოს ისტორიის შემსწავლელი, „ვეფხისტყაოსნის“, უცხო ენების, ფოლკლორულ გუნდში, ვოკალურ ჯგუფებში, გიტარის, სამეჯლისო ცეკვების, აერობიკის, დრამატულ წრეში თოჯინების თეატრისათვის, საბავშვო თეატრ „აია“-ში, ფოტოტელემოყვარულთა, ავტომოყვარულთა წრეებში.

აღნიშნულ წრეებში მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კლუბის დირექციას. მისამართი: რუსთაველის ქ. №89, ტელ: 2—17—19.

---

**ზუგდიდის №108 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს**

მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულთათვის ორი და სამწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში:

1. ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე (რომლებთაც შეუძლიათ შეასრულონ ზეინკალ-შემკეთებლისა და ავტომანქანის მძღოლის სამუშაოები).

2. მეფრინველეობის ფაბრიკისა და მექანიზირებული ფერმის ოპერატორი

საშუალო სკოლადამთავრებულთათვის კი ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ პროფესიებში:

1. ქიმიურ-ბაქტეოროლოგიური ანალიზის ლაბორანტი.

2. ელექტროაირშემდუღებელი (ავტომანქანის მართვის უფლებით)

3. სასურსათო საქონლის გამყიდველი.

4. ავტომანქანის მძღოლი (5 თვე).

სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები.

სასწავლებელში სწავლა უფასოა, გარდა ამისა, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, საერთო საცხოვრებლითა და 10-დან 30 მანეთამდე სტიპენდიით, ასევე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტით.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან პროფესიას და მიიღებენ საშუალო განათლებას, მიეცემათ დიპლომი.

კურსდამთავრებულები, რომლებიც სამწლიანი სწავლების ვადით სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინების დიპლომზე, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედლით კურსდამთავრებულთათვის, ხოლო ერთწლიანი სწავლების ვადით წარჩინებით დიპლომზე კურსდამთავრებულები სარგებლობენ მეღალოსნის უფლებით მხოლოდ პროფილის მიხედვით.

სასწავლებელში სწავლების პერიოდი ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟად, ყველა კურსდამთავრებულნი სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდებიან რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

სასწავლებელში მოქმედებს ფეხბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის და რადიომოყვარულთა წრეები. ჩამოყალიბებულია აგრეთვე საესტრადო ანსამბლი, სასწავლებელს გააჩნია სასწავლო მეურნეობა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნო.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286 ან 086 უ), 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს სასურველია მქონდეთ საგზურები კოლმეურნეობებიდან ან საბჭოთა მეურნეობებიდან. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ჩვენი მისამართია: სოფ. ოქტომბერი.

**სასწავლებლის დირექცია.**

---

**მადლობის სტრიქონები**

## გამორჩეულნი

სოფლის სამსახურში დიდ როლს ასრულებს ტრანსპორტი. ჭაქვინჯელი მშრომლები დიდად ვემადლიერებით ჩხოროწყუს ავტოსატრანსპორტო კოლონის მძღოლებს, ძმებს: ვალიკო და კოლია სიჭინავებს, რომლებიც გულისხმიერებით გამორჩეულნი არიან.

**შუშუ ჩუხუა,**

პედაგოგი.

---

# შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს, გაფიცვის შემდეგ კვლავ მთელი შემართებით მუშაობს შინაგან საქმეთა განყოფილება. ჩატარდა პროფილაქტიკური რეიდი, რომლის შედეგებსაც აქვე გაცნობთ:

მერაბ ვალიკოს ძე ტაბალუას მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. მ. ტაბალუა ცხოვრობს ქ. ზუგდიდში, როგავას ქუჩაზე.

დაკავებულ იქნა 1971 წელს დაბადებული, ხობის რაიონის სოფ. თორსაში მცხოვრები, ადრენასამართლევი დურმიშხან ხუტას ძე აგუმავა, რომელსაც ქ. ზუგდიდის რაიუნივერმაღის წინ მოქალაქეს ხელჩანთიდან ამოაცალა 27 მანეთი.

მოქალაქის ძარცვისათვის დაკავებულ იქნა 1973 წელს დაბადებული, ხობის რაიონის სოფ. ხამისკურში მცხოვრები, ნოჯიხევის პროფსასწავლებლის მოსწავლე დათო გენერის ძე ქირია. მან მოქალაქეს დაშინების გზით წაართვა ხელჩანთა გარკვეული თანხით.

სპეკულაციაში მხილებულ იქნენ: ქ. ზუგდიდში ხვეღდლოვის ქუჩაზე მცხოვრები ხათუნა არჩილის ასული ჭეჭინავა, ახალსოფლის მცხოვრები ეუეუნა ტრიფონის ასული ქადარია, ქ. გალში მცხოვრები ნანული ვალოდიას ასული მექონია, ქუთაისელი ეთერ გიორგის ასული ჩხეტიანი.

არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისათვის დაკავებულ იქნა წალენჯიხელი მოკოდია სერიოჟას ძე ფიფია.

---

**რედაქტორის მოადგილე**

**ზ. ცხონდია.**

---

შვილები: მერი ცაცუა, ვალერი, ნონა, ქორა, ვალია, ტანია ცახავები, ძმები: ვალიკო, ლუდა, დები: მარო, გოგოლა, შადია, ცილიკო თოლორაიები, რძლები მანანა თოდუა, ნაზო ჭკადუა, გოგუცა ჭკადუა, ნათელა ხარებავა, სიძეები: ომარი ფარულია, შაქრო ჯულაყიძე, გრიშა კერზაია, გვეგვე მიქავა, სერიოჟა სართანია, ვაჟიკო მიქაია, მზახლები ნიურა, გიგი თოდუები, მარგო ჯულაყიძე, შვილიშვილები ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გარდიშა მაქსიმეს ასული თოლორაია-ცახავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 7, 8 სექტემბერს დაკრძალვა 9 სექტემბერს სოფელ დარჩელში.

---

მეუღლე: ტატიანა, მარგო, რძლები: ზინა, ამალია თოდუები, მეულიშვილები: გენო, რევაზი, ავთანდილი, ლუიზა გოგშელიძეები, ალინარი, კოტე ფარჯიკიები, ლუდუკი გვიტია, მაზლიშვილები: ნათელა, მზია, ოთარი, ვახტანგი, ჯიმალი, მურმანი თოდუები ოჯახებით იუწყებიან

**ტიტუშა ნიკოლოზის ასული გაგუა-თოდუას**

გარდაცვალებას, გამოსვენება 8 სექტემბერს 3 საათზე ქ. სოხუმი ლენინის 45-დან დაკრძალვა ქ. ზუგდიდში.

---

საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკები სამძიმარს უცხადებენ ნონა ნინუას მამის

**სერგო აკაკის ძე ნინუას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილობილი მამუკა, დები: მარო ტუღუში, ნინა ახალაია, რძალი ნინო, დისშვილები: ციცა, თინია, გულიკო, თამარა, დაფნეტი, აპოლონი ახალაიები, არველოდი, ჯამბული, ველოდი, ტრისტანი ტუღუშები, ძმისშვილები: მანია, ლუდა, ბიჩო ჯანაშიები. ბიძაშვილები: სარაპიონი, გურიელი, ქსენია შულაიები, ნოე საბეკია, რძლები: ვალია, ია, ეთერი, ნორა, ნანული, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**ლიდა პეპუს ასული შულაიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6, 7, სექტემბერს, დაკრძალვა 8 სექტემბერს სოფ. ანაკლიაში.

---

რძალი თამარ თოდუა, ცოლისძმისშვილი მიმოზა, სიძე ნოდარ ჯობავაები შვილებით ლაშა, ირაკლი და მიშიკოთი იუწყებიან

**სერგო აკაკის ძე ნინუას**

გარდაცვალებას.

---

ბიძა ქორა ჩიხლაძე, მამიდაშვილები: სვეტა, ლალი, ეულადი ჩიხლაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ენვერი შილას ძე ლურწკაიას**

გარდაცვალებას.

---

ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აპარატის თანამშრომლები იუწყებიან

**სერგო აკაკის ძე ნინუას**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სარაიონთაშორისო სააფთიაქო ბაზის, კანტორის, ლაბორატორიის და ქსელის თანამშრომლები იუწყებიან

**სერგო აკაკის ძე ნინუას**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის № 103 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**ალექსანდრე (თემური) ალექსანდრეს ძე ახალაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ИНДЕКС 66507 [illegible] მისამართი: 1 ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2 24 40, რედაქტორის მოადგილის — 2-85-69, პასუხისმგებელი მდივნის — 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 21-78 [illegible] — 2-25-12, [illegible] — 2 47-06

საქ. სსრ გამომცემლობის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. № 3213